№ 190 სექტემბერი 8, სამშაბათი 1892 სექტემბერი 8, სამშაბათი № 190

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 სექტემ.

რედაქციისაგან

გაზეთი „**ივერია**“ 1-ლ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 75 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (3—2)

რედაქციისაგან

რედაქცია გაზ. „ივერიისა“ უმორჩილესადა სთხოვს იმათ, ვისაც საინტერესოდ მიაჩნია ქართულის ასოების განკარგების საქმე, მობრძანდნენ რედაქციაში, დღეს, 8 სექტემბერს დილის 11 საათზედ, ამ საქმის გასარკვევად.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა სთხოვს თავისს აგენტებს და ერთობ ყველას, ვისაც-კი მასთან მიწერ-მოწერა აქვს რამე, წერილი, ფულიანი თუ უფულო, შემდეგის ადრესით ჰგზავნონ: Грузинское Издательское Товарищество. გამგეობის რომელისამე წევრის გვარი წერილზედ სულ მეტია, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება დროზედ არ იქმნას გახსნილი და პასუხი დაგვიანდეს. (2—1)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საუწყებლად ვაცხადებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება და ხელ-მეორე ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბრიდგან. I განყოფილებაში 40 ადგილია თავისუფალი, II-ში—20, III-ში—17 და IV-ში—10. შემომსვლელთ საბუთები ჩვეულებრივუნდა წარმოადგინონ.

სასწავლებლის მმართველი ს. ყიფიანი

(4—1)

ქართველთა ამხანაგობის
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

	მან.	კაპ.
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა. IV ტომი. ფასი	1	20
სოფლის კუნწულა, მაჩხანელისა. . . . . ფასი.	„	20

იქვე ყველა ქართული წიგნები.

ტფილისი, 7 სექტემბერი

იტალიის ზღვის ნაპირად მდებარე ქალაქ გენუაში დიდი დღესასწაულებია გამართული ამ ჟამად. ამ დღესასწაულისთვის თითქმის ევროპის ყველა დიდმა და პატარა სახელმწიფომ გაჰგზავნა თავისი ჯავშნიანი ხომალდები. ამ გვარად, გენუის ნავთსადგურში იმდენი ფლოტი შეიკრიფა, რამდენიც გენუას თავის დღეში არ უნახავს.

მიზეზი დღესასწაულისა ამერიკის აღმოჩენაა. ოთხასი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ძველმა ევროპამ ამერიკა აღმოაჩინა. ამერიკის აღმოჩენამ ევროპას იმდენი სარგებლობა მოუტანა, რომ კაცი ენით ვერც-კი იტყვის. ის კაცი, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა, გახლდათ გენუელი მცხოვრები, ქრისტეფორე კოლუმბი, და სწორედ ამის გამო ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი შეიკრიფნენ გენუაში, რომ პატივი სცენ ქრისტეფორე კოლუმბის სახელს. მასპინძლობას სტუმრებს, რასაკვირველია, უწევენ იტალიის მეფე-დედოფალი.

გენუაში დღესასწაულს უფრო მშვიდობის მოყვარეობისა და კაცობრიობის ზრდა-წარმატების მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა რაიმე. მეცნიერების გამარჯვებას, განათლებული ევროპა განათლებას უნთებს წმიდა სანთელს მადლობისას და გუნდრუკს უკმევს კულტურას, მაგრამ შეიძლება გენუის დღესასწაულმა ისეთივე პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღოს, როგორც შარშან კრონშტადტისამ.

მას აქეთ, რაც იტალია გერმანიას დაუმეგობრდა, საფრანგეთს ზურგი შეაქცია. იტალიას გერმანიის შემწეობით გადიდება უნდოდა, სურდა მარტო ის გაბატონებულიყო ხმელთა შუა ზღვაზედ, მარტო იმას ჩაეგდო ხელში აფრიკის ჩრდილო-ნაპირები, აბისინია; თუ შეიძლებოდა, დაებრუნებინა კიდეც საფრანგეთისაგან ნიცა და სავოია და ავსტრიისაგან—ტრიესტი და დალმაცია. საგარეო პოლიტიკის ასეთმა მიმართულებამ ლამის დაღუპოს ნორჩი სამეფო. იტალია ნივთიერად ღარიბდება, შემოსავალის მომეტებული ნაწილი ჯარის შენახვას და ფლოტის მოწყობას უნდება. განსაკუთრებით იტალიას გაუჭირდა საქმე საფრანგეთთან შემოწყრომის გამო. საფრანგეთმა დიდი ბაჟი დასდო იტალიის საქონელს და თითქმის სულ ამოჰკვეთა მათი ხმარება საფრანგეთში, რომელიც მარტო უმთავრესი ბაზარი იყო მანამდე იტალიის მრეწველობისათვის. იტალიამაც ასწია ბაჟი საფრანგეთის საქონლისა, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლაში ყოველთვის ძლიერი იმარჯვებს და საფრანგეთმაც გაიმარჯვა. იტალიის მთავრობა შეფიქრიანდა, მიზეზს ეძებდა, როგორმე საფრანგეთის გული მოეგო. მთავარ-მინისტრი იტალიისა კრისპი და მისი გაზეთი „Riforma“ წინააღმდეგნი იყვნენ საფრანგეთთან დამეგობრებისა, მაგრამ მაინც ამ ორის წლის წინად მეფე ჰუმბერტომ ესკადრა გაუგზავნა ტულონში კარნოს მისასალმებლად. ორმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, იტალიას უფრო და უფრო საქმე უჭირდებოდა და მეგობრობა-კი არ ჩამოვარდა.

გენუის დღესასწაულის დროს საფრანგეთმა ყველაზედ ბევრი სალომარი გემები გამოჰგზავნა და უკეთესს ადმირალს ჩააბარა, რეინიეს, რომელსაც საკუთარის ხელით დაწერილი წერილი გამოატანა პრეზიდენტმა კარნომ მეფე ჰუმბერტოსთან. ყველა ეს იმასა ჰნიშნავსო, ამბობენ იტალიის გაზეთები, რომ საფრანგეთმა გული მოიბრუნა ჩვენზედ და მზადაა, თუ ჩვენც ხელს გაუწვდენთ, მეგობრულის კავშირით დაგვიკავშირდესო. იტალიის გაზეთები სიხარულით მიეგებნენ საფრანგეთის ფლოტს და თანაგრძნობით იხსენიებენ რესპუბლიკას. თვით გენუის მოქალაქეთ დიდადა სურდათ ფრანგებისთვის გაემართათ მანიფესტაციები, მაგრამ მთავრობამ ხელი შეუშალა, მარტო ფრანგებს რომ დახვდეთ აგრე გულ-უხვად, სხვებს ეწყინებათო.

საფრანგეთს საშინლადა სწყინდა იტალიის უმადურობა. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთი ყოველთვის ხელს უწყობდა იტალიას, ეხმარებოდა ფულითა და ჯარებით, რათა იტალია გაერთიანებულიყო. სულ ოც-დაათი წელიწადი ძლივს გავიდა მას აქეთ, რაც ფრანგებმა ლომბარდია წაართვეს ავსტრიას და იტალიას დაუბრუნეს. ამას გარდა, სხვა ბევრი სამსახურიც გაუწევია საფრანგეთს იტალიისთვის. დღეს იტალიის გაზეთებმა გაიხსენეს საფრანგეთის ღვაწლი. მწუხარებას აცხადებენ, რომ ორი ერთის სისხლისა და ხორცის ხალხი ასე დაშორდნენ ერთმანეთს და ძმურად არა სცხოვრობენ; თვით იტალიის ხალხს უყვარს ფრანგები, მაგრამ მმართვა-გამგეობის მეთაურნი დიდის ოსტატობით სცდილობდნენ მტრობა დაეთესათ ფრანგებსა და იტალიელთ შორის გერმანიის სასიამოვნოდ.

იტალიელთა გრძნობა მშვენივრად გამოჰხატა გაზეთმა „Caffaro“-მ. აი რასა სწერს ეს გაზეთი: „გეგებებით და ხელს გართმევთ, წარმომადგენელნო იმ ერისანო, რომელთანაც გვაერთებს ჩვენ დიდი სიყვარული და წარსული. ვიმედოვნებთ რომ აქ, ჩვენში, თქვენის ხომალდების მოსვლა განაახლებს ძველს მეგობრობას და გაჰფანტავს ჩვენსა და თქვენ შორის ჩამოვარდნილს უსიამოვნობას. ჩვენ გვსურდა დაგვეთმო თქვენთვის პირველი ადგილი, რომ პირველად თქვენ გაგეგონათ იტალიის ფლოტის მოლოცვა. ეს ალაგი თქვენ გეკუთვნით სამართლიანად. მთლად იტალიელები შემოგყურებთ, როგორც მეგობრებს, ისეთს მეგობრებს, რომელნიც დაჰშორდნენ ერთმანერთს დროებით. ამდენის ხნის განშორების შემდეგ ჩვენ ყველასა გვსურს ხელი ჩამოგართვათ და ძმურად მოგესალამოთ“.

ა. ფრონელი

◆◆

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

5 სექტემბერს ავად გახდნენ: ზურაბ ვალიაშვილი, ზაქ. ფარსეღოვი (გარეთ უბანი), გაბო გულიაშვილი (ავლაბარი). გარდაიცვალნენ: 5 სექტემბერს სოფიო კოპაჩაშვილი და ბაბლუმოვი, 6 სექტემბერს გარდაიცვალა ზაქ. ფარსეღოვი.

სულ 7 სექტემბრისთვის იყო ტფილისში 3 ავადმყოფი.

ახალციხეს 3 სექტემბერს ავად გახდა 3, მორჩა 1, დარჩა 14; ტამანისპოლკში ავად არავინ გამხდარა, დარჩა 13. 4 სექტემბერს ავად გახდა 7, გარდ. 5, დარჩა 16; 5 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდ. 3, დარჩა 19.

ახალქალაქის მაზრის სოფლებში 4 სექტემბერს ავად გახდა 6, მორჩა 4, გარდ. 4; ქალაქში ავად გახდა 1, გარდ. 2; სულ მაზრაში 31 ავადმყოფია, ქალაქში—13. 5 სექტემბერი სოფლებში ავად გახდა 6, გარდ. 2, მორჩა 11, დარჩა 24; ქალაქში ავად გახდა 3, გარდ. 4, დარჩა 42.

ფელეტონი

კნეინა ნინო მაჩაბლის გარდაცვალებაზედ.

ნუ თუ, ნინოჯან, აქ მოსწყინდა შენს მაღალს სულსა,
ზეგარდმო მადლით შემოსილსა და ნიჭით სრულსა?
ანგელოზთ შორის განსასვენად მიმართა ცასა
და წარხვედი იქ.... სად გვიზიდავს მიწა მიწასა?
მაგრამ რას ეტყვი დატოვებულთ შენთა წვრილ-შვილთა,
ესრედ სათუთად, გონივრულად შენგან აღზრდილთა,
საყვარელს ქმარსა და მოხუცთა მშობელთ ქადილთა
და მათ წილ ექმენ მოსასვენად მიწის მღილთა?
წარხვედ, ეგ იყო ალბად შენი წერა და ბედი,
მაგრამ ჩვენ შენთა დაგვრჩენია რიღას იმედი?
ვეღარ გიხილავთ მოცქრიალეს, მოუბნარს ტკბილად,
ამას გსწუხთ, გგლოობთ, ეს გვექმნება მუდამ სატირლად!...

თ. ნ. ვეზ—შვილი

◆◆

ქ უ ჩ ი

ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის, სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და იღბალი, შენი წარსული და მომავალიო!

— კლდეო, განა რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

— მე ვარ, ნუ გეშინიან, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები, ვინ იცის სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც-კი ვარსებობდე; ისინი თვალ-დაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღასაც ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბად დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელ ჲ გულ-მაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზედ დაგვეცემა ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის, მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავისს დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალ-წინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთიერთმანეთზედ, კლდის ძუძუდგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯნი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავისს მშობელს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა; მაგრამ არ შეუძლიანთ. მეც იმათ დავცქერი თავზედ და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტის-მეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდგან რომ გამომცქერიან, ტკბილად დუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზის, დაბალის ხმით; ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირი-მზეს. ლამაზო პირი-მზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალ-გულ-დამშეული შევსცქერივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას, ისე მიყვარს, და ის-კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერია, იმას ეტრფის. პირი-მზე მზეს მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყებს სატრფოს განშო-

სოფ. ირაგას, ტფილისის მაზრაში, ავად გახდა 7, გარდ. 4, მორჩა 3.

გომის სადგურს ახლო გახდა ავად 4, გარდაიცვალა 2.

სოფ. გავაზში, თელავის მაზრაში, 1—5 სექტემბრამდე ავად გახდა 6, გარდ. 4, დარჩა 5.

სიღნაღის მაზრაში სოფ. მაღაროს ავად გახდა 1, გარდ. 1; საქობოში გარდ. 1; სხვა სოფლებში ავად არავინ გამხდარა; ზემო-მაჩხაანის კალოებზედ ავადმყოფობა მოისპო.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი აბასთუმანში ალექსანდრე სპირიდონის ძე ზედგინიძისაგან 19 მან. 70 კაპ. სია შემომწირველთა: ალექსანდრე სპირიდონის ძე ზედგინიძე 2 მ., დავით ამირეჯიბი 1 მ., ვ. ბერელაშვილი 5 მ., სოფიო სტეფანეს ასული გეორგობიანი 1 მ., ელისაბედ მხეიძე 50 კ., მარიამ ვასილის ასული პაპენტოვი 20 კ., მღ. ალ. ზედგინიძე 1 მ., მ. ყარაბეგოვი 1 მ., ბაგინოვი 2 მ., ლ. ჩ. 2 მ., დ. ჩ. 2 მ., მღ. ხახუტაშვილი 2 მ., სულ 19 მ. 70 კ. ამ ფულისა გვქონდა 941 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 960 მან. 85 კაპ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებიდგან ამ სექტემბრის თთვისათვის ორი სესია იყო დანიშნული დაბა-სოფლად გასამგზავრებლად. ერთი სესსია უნდა წასულიყო გორსა, ახალციხესა, ახალქალაქსა და შულავერში და მეორე დუშეთსა და თიანეთში. როგორც შევიტყეთ, ეს ორივე სესსია ოქტომბრისათვის გადაიდო ხოლერის გამო. ოქტომბერშივე წავა ამავე სასამართლოს მესამე სესსია თელავსა, სიღნაღსა და ზაქათალას.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მღვდელს მ. ალექსანდრე მოლოდინაშვილსა და ბ-ნს მიხეილ გიორგის ძეს ნათაძეს განუზრახავთ ქართულის საეკკლესიო გალობის დასის შედგენა. სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ეს განზრახვა კეთილად შეესრულებინოთ, რადგან ამ მგალობელთა დასის უყოლობით ძალიანა ჰკოჭლობს საზოგადოდ ჩვენი ეკკლესიები.

⁂ ტფილისში ხმა დადის, ვითომ სიმპლიცკაიას სახლში გარდაცვალებული ქალი იმერელი-კი არ არისო, როგორც ტფილისის გაზეთებში ეწერა, არამედ რუსი, და ამბობენ, ვითომც ეს ქალი ეკატერინე ივანოვისაა, რომელიც ტფილისის მეორე ნაწილში სცხოვრობდაო. ამბობენ, აგრეთვე ვითომც ივანოვას კაბა და შლიაპა დედასა და დას უცვნიაო.

⁂ შაბათს, 5 ენკენისთვეს, ტფილისის პოლიცმეისტერთან მივიდა ერთი იმერელი ქალი, ქ-ნი კ—ძე და განაცხადა: რამდენისამე დღის წინად ერთი ახალგაზდა ქალი, ჩემი ნათესავი, სადღაც გაჰქრაო. ქ-ნი კ—ძე ტფილისის მესამე ნაწილის გამომძიებელთან გაჰგზავნეს ამ საქმის გამოსაძიებლად, რადგანაც ეგონათ, რომ დაკარგული ქალი სწორედ ის იქნებაო, რომელიც ამას წინად სიმპლიცკაიას საზებიო სახლში გარდაიცვალა. გამომძიებელმა ქ-ნს კ—ძეს გარდაცვლილის სურათი აჩვენა და კ—ძემ სთქვა, ეს სურათი დაკარგულის ქალისა არ არისო. მაგრამ შესაძლებელია, რომ კ—ძემ იმიტომ ვერ იცნო თავის ნათესავი სურათით, რომ ის მაშინ არის გარდაღებული, როცა გარდაცვლილის გვამი უკვე გაიხრწნა კიდეც და სახეც, რასაკვირველია, შეშლილი ექნებოდა.

⁂ მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ორი სტიპენდიაა თავ. ყარამან დავითის ძის არღუთინსკი-დოლგორუკის სახელობაზედ მისივე ფულით დაარსებული. ეს სტიპენდიები იმ პირობით არის დაარსებული, რომ არგუთინსკი-დოლგორუკის გვარის ღარიბ სტუდენტებს მიეცეთ და, თუ ვინიცობაა, ამ გვარის ღარიბი სტუდენტები არ აღმოჩნდნენ, მაშინ ეს სტიპენდიები მიეცემათ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურშვილებს.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აცხადებს ეხლა, რომ ამ სტიპენდიის მიღების მსურველთ შეუძლიანთ ამა წლის 1 ოქტომბრამდე თხოვნა შეიტანონ მზრუნველის კანცელარიაშიო. თხოვნასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს საშუალ-სასწავლებელში სწავლის დამთავრებისა და სიღარიბის მოწმობა.

⁂ უცხო ქვეყნების სომეხთა გაზეთები იუწყებიან, რომ ამ მოკლე ხანში განზრახვა აქვთ სომხებს საკუთარი გაზეთი გამოსცენ კალკუტაში ინგლისურს ენაზედაო.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში რამდენიმე კაცი გახდა ხოლერით ავად. როგორც ექიმები, აგრეთვე თვით ავადმყოფნიც ავადმყოფობას საზამთროს ჭამას აბრალებენ. ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს, რომ სასტიკად აუკრძალოს სოფლებიდგან ტფილისში საზამთროს ჩამოტანა.

⁂ ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტი ამზადებს დასაბეჭდად ფრიად სასარგებლო წიგნს, რომელშიაც მოთავსებული იქნება ამიერ-კავკასიის ყველა სოფლის სახელები. წიგნი ამ წლის დამლევს გამოვა.

⁂ ტფილისის მეორე გილდის ვაჭარმა ალასი ტერ-ასატუროვმა მიჰმართა გუბერნატორს და სთხოვა, ნება მომეცი მტკვრის ნაპირას ჩემს მამულში სოდას საკეთებელი ქარხანა გავმართოო.

⁂ სოფ. ოლგინსკოე (კავკავის მაზრა): მარიამობისთვის 31 სოფ. ოლგინსკოეში ერთმა ოსმა მოჰკლა თავისი მეზობელი. საბრალოს მკვლელმა მოულოდნელად გაუქნია ხანჯალი და მუცელი გაუფატრა. დაჭრილმა მარცხენა ხელით ნაწლავები შეიმაგრა და მარჯვენა ხანჯალს იტაცა, მაგრამ ამ დროს მკვლელმა კიდევ მარჯვენა მაჯასა და თავში დაჰკრა ხანჯალი და იქვე წააქცია თავისი მსხვერპლი. მკვლელი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

⁂ ლანჩხუთი: აქ ერთი კერძო კაცი აპირებს ბიბლიოთეკისა და წიგნების მაღაზიის გამართვას. ვისურვებთ, რომ ეს აზრი მარტო აზრად არ დარჩენილიყოს და მალე განხორციელებულიყოს.

⁂ ჩოხატაური (ოზურგეთის მაზრა): 29 აგვისტოს მოჰკლეს აქ ერთი ავაზაკი. აი როგორ იყო საქმე: სალამოს რვა საათზედ დაბას დაესხნენ ავაზაკები მათის მთავარ-სარდლის მიქელაიშვილის წინამძღოლობით. იერიში მიიტანეს ერთის ვაჭრის დუქანზედ და ათას ხუთასი მანეთი წაიღეს... ერთმა მათგანმა მკითხველთა ჭირი წაიღო. ცოტა ძვირად დაგვიჯდა მისი სიკვდილი, მაგრამ „სულ არარაობას, ცალ-უღელი ხარი სჯობია“.

⁂ გორი: შაბათს, 5 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ, ჩამოვარდა მეხი და მოჰკლა თავის ოთახში ა. დავრიშევი, ნათესავი აქაური ბოქაულისა. მეხი დასცემოდა აივნის მოაჯირს, ფანჯრიდამ შევარდნილიყო ოთახში, სადაც თურმე ეძინა დავრიშევს, და დასცემოდა.

⁂ სოფ. საღოლაშენი (გორის მაზრა): 15 აგვისტოს, მარიამობა დღეს, მოხდა ჩხუბი ზოგიერთ აქაურ მცხოვრებთა და სუდია-მამასახლისს შორის. ჯერ მამასახლისის იასაულებმა და მერე თვით მამასახლისმა ჯოხებით სცემეს რამდენსამე ოჯახიშვილს გლეხს. როგორც ამბობენ, ეს ულირსი საქმე სულ იმიტომ მოხდა, რომ ერთმა ნაცემმა გლეხმა არ მისცა იასაულებს ქერი და სხვა სანოვაგე ჩაფრებისათვისაო. ეს ჩაფრები მისულიყვნენ საღოლაშენს, სურამის ბოქაულის განკარგულებით, ხოლერის გამო სოფლის შესაკრავად, თუმცა სოფელი უიმათოდაც შეკრული იყო იმ დღეს და არც ერთი მლოცავი არ მისულა სოფელში მარიამობა დღეს, როდესაც ჩვეულებრივ აურებელი მლოცავი იყრის ხოლმე თავს ამ სოფელში.

⁂ სოფ. ბრეთი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელში 40-მდე კაცი გახდა ავად ხოლერით და 18 გარდაიცვალა. აგერ ორი კვირაა, ავადმყოფობა აღარ არის. დეზინფექცია ოთხს სახლში მოახდინა მკურნალმა ბარსუკოვმა ჯერ ამას წინადვე. მასუკან მოვიდნენ სათავად-აზნაურო ბანკის მიერ გამოგზავნილნი კაცნი სადეზინფექციო წამლებით და ახლა იმათ დაუწყეს დეზინფექცია იმ სახლებს, საცა ან ავადმყოფი იყო, ან მიცვალებული. ამათ მოახდინეს დეზინფექცია ოცამდე სახლში. ასეთივე დეზინფექცია მოახდინეს სოფ. საღოლაშენს, საცა ორი საეჭვო ავადმყოფი იყო, რომელთა შორის ერთი კიდეც გარდაიცვალა ორის კვირის ავადმყოფობის შემდეგ, სოფ. არადეთს—სამს სახლში, წვერს—სამს სახლში და შემდეგ გაემგზავრნენ დირბს და იქიდამ—ძლევისჯვარს. ეს კაცნი, რომელთაც ბინა ჰქონდათ სოფ. რუისში, საცა 60-ზედ მეტს სახლში მოახდინეს დეზინფექცია, ებრძოდნენ აგრეთვე ხოლერასაც, თუ სადმე იჩენდა ხელ-მეორედ თავს.

⁂ სოფ. ზემო-ქერე (გორის მაზრა): ჩვენს სოფელში ერთი უცნაური ამბავი მოხდა: შვიდის წლის გლეხის ქალი ქადაგად დაეცა; ორი დღე, როგორც ქადაგს შეჰფერის, ავად იყო და სიზმრებსა ჰხედავდა, შემდეგ მრისხანედ გამოუცხადა ხალხს, რომ თქვენ ძველს წესსა და რჯულს გადასცდით, ძველი გზა დაჰკარგეთ, დამახინჯდით, თქვენში აღარც მეგობრობაა, აღარც მოყვრის გატანა, არც ცოლ-ქმრობა გრწამთ, არც და-ძმობა და დედაშვილობა და ამიტომ მოგივლინეთ ეგ ხოლერაო. ამ ლაპარაკმა მთელი სოფელი ისე შეაფრთხო და შეაძრწუნა, რომ ყველანი გულ-გახეთქილები არიან და საშინელს ღვთის რისხვას მოელიან. ამასობაში ყმაწვილი გონებაზედ მოვიდა, გამოეგნო, დამშვიდდა, მაგრამ სოფელი ჯერაც ვერ დაშოშმინებულა და გული გულის ალაგას ვერ დაუყენებია.

⁂ სოფ. ერკეთი (ოზურგეთის მაზრა): ძალიან შეაშინა ჩვენი სოფელი ერთმა საეჭვო ავადმყოფობამ. 5 აგვისტოს გამხდარიყო ავად აბაშაში, რომელიც სენაკის მაზრაშია, ერთი აქაური ყმაწვილი კაცი, წამოსულიყო იქიდამ და ორი დღე უალაგო-ალაგას გაეთია დიდის ტანჯვითა და მწუხარებით. ბოლოს ჰნახეს ავადმყოფი, მამა მიეშველა და ჩამოიყვანა ჩოხატაურში, სადაც სამკურნალოა. მამისთვის ეთქვათ, რომ მკურნალები ჰკლავენ და სწვავენ ავადმყოფს და ისევ სახლში წაიყვანეო. სოფელში, რა-კი გაიგეს, რომ ავადმყოფი მოიყვანესო, ატყდა ერთი ვაი-ვაგლახი, ბევრი ტყეში გაიხიზნა და ბევრი კიდევ ახლო აღარ მიეკარა ავადმყოფის ოჯახს. ორ კვირას უკან ავადმყოფი გარდაიცვალა. შეატყობინეს ექიმს, რომ შეემოწმებინა, მაგრამ ექიმი არ მოვიდა და მიცვალებული სამს დღეს იყო დაუმარხავი. დამარხვითაც მიცვალებული ეკკლესიის სასაფლაოზედ დაასაფლავეს მამამ და მისმა ბიძაშვილმა და ამის გამო მთელს ერთს კვირას ხალხი ეკკლესიას აღარ მიეკარა. აქაური სადეზინფექციო წამლებიც უცნაური წამლებია: კარბოლკას სრულიად კარბოლკის სუნი არა აქვს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელ აფთიაქში იშოვა ჩვენმა სოფელმა ასეთი სადეზინფექციო წამლები?!

⁂ თელავი: 18 აგვისტომდე შეგროვდა თელავში სხვა-და-სხვა შე-

რებას. პირი-მზეს ტირილი მეც ამატირებს. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე-კი უშნო და უცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერის არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს; გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფას, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს ი დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს, მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველები გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდგან ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდგან მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები, მერე მზე დამხედავს და აშრობს ჩემს ტანზედ ამ სისხლსა. იკურთხოს წვიმის გამჩენი, ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირი-მზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა შენიო!

მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირი-მზეს ეძახით, რადგან პირი და თვალები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი, მზის მოტრფიალეა; როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და სცდილობს არსად დაემალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირი-მზე—შვილი მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირი-მზე მიყვარს! მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს, მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირი-მზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირის-პირ. დადგება გაზაფხული, პირი-მზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირი-მზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ ამას სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზედ რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას, ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა ჩემს თავზედ, რამდენსა ჰკვნესოდა საბრალო და ის-კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარტით.

— ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვიან სიკვდილიო! წამომჩურჩულა ლოდმა. მე კაკბის სიბრალულით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდილი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე, ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზედ მოხდა ეს ამბავი. ორ-პირად, ორის მხრიდგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზედ ისხდნენ ტურფად, მოხდენით და ერთმანეთისკენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშორის გამო არ მესმოდა, რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის ბჭყრიალს თვალს ვერ უსწორებდი, მწვავდა. ერთმანეთს ცხენებიდამ ჰყრიდნენ, ჰქელავდნენ, მახვილსა სცემდნენ.

ბოლოს დროს, თითქოს ჯანღი დაეხვიაო, დაიმალნენ ყველანი. ჯანღი რომ გადიკრიფა, სალამო ხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზედ უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგვოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!

პირი-მზევ, ტურფავ, ლამაზო, შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი, საწყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ, შემიბრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო, დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიდურო ფრინველო, თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად სისხლს აქცევ; ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათს კვნესას, რადგან იმათი კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა, დამბადებელო, დამიფარე შემინახე, უნაყოფო კლდეზედ დაკიდებული ქუჩი!...

ვაჟა-ფშაველა

მომწირველთაგან ხოლერასთან საბრძოლველად 739 მან. 46 კაპ. ამას გარდა იმ წარმოდგენიდგან, რომელიც გამართულ იქმნა თელავში ოლგა თეოდორეს ასულის პაპოვის თაოსნობით, შემოვიდა 98 მან. 87 კაპ., სულ შესდგა 838 მან. 33 კაპ. აქედამ დაიხარჯა სანიტართა კომისიის მიერ 686 მან. 10 კაპ., დარჩა დაუხარჯავი ნაღდ ფულად 152 მან. 23 კაპ. რედაქციას ამასთანავე ეგზავნება სრული სია შემომწირველთა გვარისა და სახელისა და მათის შემოწირულობის რაოდენობისა, აგრეთვე სია იმისი, თუ სახელდობრ რაში რა დაჰხარჯა სანიტართა კომისიამ. ეს სიები ჩვენ უკვე მივიღეთ.

⁂ სამწვერისი (გორის მაზრა): გაჩნდა თუ არა აქ ხოლერა ცამეტს ივლისიდგან, მსურდა, მაშინვე მეცნობებინა მთავრობისთვის. მაგრამ ხალხმა, აღვსილმა სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნებით, არ მომცა ნება, ხოლო როდესაც ხოლერამ თავისი გესლიანი ბრჭყალებით დასცა ძირს მრავალნი და აატირა, მაშინ კიდეც მეხვეწებოდნენ, გვიშველე რამეო. მაშინვე ოც-და-შვიდს ივლისს ვაცნობე მაზრის უფროსს. მის ბრწყინვალებას სასწრაფო განკარგულება მოეხდინა, დაენიშნა თვისის სამმართველოს თარჯიმანი ალ. პოლმარდინოვი, გამოეყოლებინა ფერშალი გლურჯიძე და ებძანებინა ყოველი ღონისძიება მოიხმარე ავადმყოფების მოვლისა და ხოლერის განქარვებისათვისაო. მართლაც ბ-ნი პოლმარდინოვი სამს აგვისტოს მოვიდა და გულ-მხურვალედ შეუდგა საქმეს. პირველად მიაქცია ყურადღება სისუფთავეს და შემდეგ შეუდგა ავადმყოფების მოვლას, მისცა ხალხს დარიგება, როგორ უნდა გაუფთხილდნენ თავიანთ თავს, რომ კარგად მყოფნი ავად არ გახდნენ, და რას უნდა ეცადნენ ხოლერის მოსასპობლად. ამას გარდა, ყოველი ოჯახი თავისის ფეხით დაიარა, ასრულებდა დეზინფექციას და აძლევდა წამლებს. ფერშლის მოვალეობასაც თითონ ასრულებდა და მზად იყო შეეწირა თვისი სიცოცხლე თავისის მოვალეობისათვის. ფერშალი არ იყო ისე გულადად, როგორც ეს კაცი. მინამ ის მოვიდოდა, ამ პატარა სოფელში ოც-და-ორი გარდაიცვალა ერთის კვირის განმავლობაში, სხვათა შორის, სახლობა აქაურის მღვდლისა, შემდეგ-კი ხოლერა სრულიად მოისპო. მღვდლის სახლობის გადარჩენას ბევრი ეცადა, მაგრამ ვერა უშველა-რა.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ გაზეთს „ნორ-დარს“, რომ იქ ამ დღეებში ქალაქის თვით-მმართველობას დაუარსებია უფასო სამკურნალო ღარიბ მცხოვრებთათვის. ავადმყოფების უსასყიდლოდ წამლობა უკისრიათ მკურნალებს: ვორონოვსა, ბარანოვსკის, ხეჩინოვს, ჯინორიას და ექიმ-ქალს იზმაილოვისას.

⁂ გაზეთს „Кавказъ“-ს შეუტყვია, რომ კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა ამა წლის 1 ოქტომბრიდგან დედათა „ხელსაქმის“ სკოლასთან სამზარეულო კურსებს დაარსებსო.

⁂ გაზეთ «თარაზ»-ის სიტყვით, 30 აგვისტოს წინა ღამეს ერევნის გუბერნიის ქ. ნახიჩევანში მიწის ძვრა ყოფილა.

⁂ რუსეთის ელჩი ბაღდადში იუწყება, რომ კალეტ-ეს-სიკრში ჟამი სრულიად მოისპო („Карсъ“-ი).

⁂ 6 ამ თვისას პოლიციის მეექვსე ნაწილში ქერბალაი-ყურბან-ალი-ჰასან-ოღლის დუქანსა და სარდაფში იპოვნეს ჩუმად შენახული 54 საზამთრო, იზმაილ ახმადოვის საყასბოში 20 საზამთრო და 10 ნესვი. ნესვი და საზამთრო შაქრის ბოჭკით ღამე მოუტანიათ; აგრეთვე კრწანისში სარქის კაკიევის დუქანში 16 საზამთრო და ვართანოვის დუქანში 24 საზამთრო. საზამთრო და ნესვები გადაჰყარეს, დამნაშავეთ-კი ოქმი შეუდგინეს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

სოფ. არბო. გათენდა „დიდ-გერისთობის“ კვირა დღე, ის დღე, რომელსაც მთელი ქართლი და მომეტებულად ჩვენი პატარა არბო დიდის სიხირულით და ხანგრძლივის მზადებით ელის ხოლმე. კვლავ ამ დროს მთელი სოფელი და სრულიად მისი მიდამო სავსე ყოფილა ათას ნაირის ხალხით. სხვა-და-სხვა საკრავის ხმისა და აუარებელის ხალხის ჟრიამულისაგან ყურთა სმენა აღარა ყოფილა. მთა და ბარი, ვაჭარი და მხვნელ-მთესველი აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავსა და გაცხარებულის აღებ-მიცემობის შუამავლობით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ასე ყოფილა მრავალის საუკუნის განმავლობაში და ამ ამბავს ხალხი შესჩვევია და შესთვისებია! არიან ჩვენში კარგა ხანში შესული მოხუცებულები, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში ბევრი კარგი და ავი უნახავთ, მაგრამ დღევანდლისთანა ამბავი-კი არც ერთს მათგანს არ ახსოვს! „გერისთობა“ დღეა, მაგრამ თვით გერისთობა-კი არსად არ არის! ნაცვლად უთვალავის ხალხისა და მისის აზვირთებულის ჟრიამულისა, სოფელსა და მის მიდამოს გადაჰფენია რაღაც დამაღონებელი მყუდროება და სიჩუმე! კვლავ ამ დროს არბოს დიდს მოედანზედ გაჩაღებული ყოფილა ჯირითი, ჭიდაობა, ლეკური, თამაშობა. დღეს-კი, ნაცვლად ყველა ამისა, აქ ხედავთ მხოლოდ დიდ კომბლიან ყარაულებს, რომელნიც ამაოდ გასცქერიან სოფლისკენ მომავალ შარა გზას. ამ გზაზედ არა თუ ჩარდახიანი ურმები, არამედ ქვეითი მგზავრიც-კი არ მოსჩანს. ცხადია, რომ ქვეყანას რაღაც საერთო მძიმე მწუხარება დასწოლია გულზედ, რომ ძვალსა და რბილში გამჯდარი თავის სასიამოვნო ჩვეულებაც-კი დაუვიწყნია და გვერდზედ მიუგდია!..

—

მწუხარება და მერე რა მწუხარება!.. ღმერთმა თქვენს მტერსაც-კი აშოროს ის ვაება, რაც ამ ჟამად ჩვენის სოფლის გარეშემო ტრიალებს. ერთს დღეს რომ დაიძახებენ: ცხინვალი, დიცი, ტირძნისი იელიტებაო, მეორე დღეს სამგლოვიარო ზარივით გაისმის: ვარიანში, ტყვიავში, კარბში ხოლერა გაჩენილა და უბედურ გლეხ-კაცობას მუსრს ადენსო! დაუძინებელმა, საზარელმა მტერმა თითქმის ყოველის მხრიდგან შემოგვირბინა! ჩვენს სოფელს ყველაზედ ახლო სოფ. მერეთი უძევს. ყოჩაღად იდგა აქამომდე ეს სოფელი. ფერშლით მრავალის წამლებით და სხვა გონივრულის მოქმედებით შეიარაღებული მერეთი მაგალითს აძლევდა სხვა მეზობელს სოფლებს. მაგრამ დახე ადამიანის ბედის წერასა!.. ამ წინაზე გაისმა ხმა: მერეთში სამი ადამიანი მოკვდა და მათ შორის აზნაური ლ. ფურცელაძეო! ამ ხმამ ქარიშხალივით დაჰქროლა ჩვენ სოფელს. მოხსენებული აზნაურიშვილი სწორედ რკინასავით მაგარის ჯანისა და ღონის ახალგაზრდა კაცი იყო. ხალხს ამშვიდებენ და ეუბნებიან: მერეთელები ანთებით დახოცილანო. მაგრამ მას ეს სიტყვები არა სჯერა და შემკრთალი იძახის: ლეტოს რა მოჰკლავდა, თუ არ ხოლერაო! იქნება მართალსაც ეუბნებიან ხალხსა... შეიძლება ყოველივე ზემოხსენებული ხმა შეშინებულის ფანტაზიის უზომო მღელვარების ნაყოფია, მაგრამ რას იზამთ, ჩემო ხელმწიფევ, როდესაც მათის დარღვევისა და ჭეშმარიტების აღდგენის შეძლება არსაიდგან არ მოგვეპოვება, რადგან რა ხდება და რა არა ჩვენის სოფლის გარეშე ნამდვილად არა ვიცით-რა!

—

მას აქეთ, რაც ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში ხოლერამ თავი იჩინა, ჩვენი საზოგადოება მტრისაგან ალყაშემორტყმულს ადგილს დაემგზავსა. სრული თთვე გადის, რაც ჩვენმა სოფელმა კარები ჩაიკეტა და განუშორებლივ ტრიალებს მხოლოდ შინაურობაში. ვინ იცის, რომელს ჩვენგანს სად რომელი საყვარელი ნათესავი მოუკვდა, ძვირფასი მეგობარი საუკუნოდ მოშორდა, დაახლოვებული კარგი ნაცნობი ცივსა და ბნელს სამარეში ჩაემარხა! ვინ იცის, რომელს ამათგანს რა ნაირად უჭირს ამ ჟამად ჩვენი თავი და ჩვენ-კი კუტებისავით ერთს ადგილას მოვკრუნჩხულვართ და დახმარების მაგივრად მხოლოდ გამწარებით გავიძახით: ღმერთო, შენ დაიხსენ ყოველი გაჭირვებულიო! ღმერთო, შენ უშველე ყოველს უბედურსაო!.. ან-კი სხვა რა ვქნათ? ამ წყეულ-შეჩვენებულ დროში რა ნაირად უნდა დავეხმაროთ გაჭირვებულ მოძმეთა? ძნელი ყოფილა, ჩემო ბატონო, მეტად ძნელი წამ და უწუმ მოლოდინი საშინელის სიკვდილისა!.. მხოლოდ დიდ-სულოვანი კაცი მაღლდება ზეცამდის ამ გვარს შემთხვევაში; მხოლოდ მისი კაცთ-მოყვარული გრძნობანი უსაზღვროდ ფართოვდება ამისთანა დროსა და, როგორც ცხოველ-მყოფელი მზე, ისე ჰფენს იგი გაჭირვებულ ქვეყნიერობას თავის მოღვაწეობის მადლიან სხივებსა! შუათანა და პატარა ადამიანები-კი ასეთს ვაივაგლახიანს ჟამს უფრო პატარავდებიან და, მხოლოდ ვიწრო, საპირადო ანგარიშებით გარემოცულნი, უფრო პირუტყვებს ემზგავსებიან, ვიდრე ქრისტეს დიდებულის მცნებით განათლებულს ადამიანებს! ამ პატარა კაცუნებს ემგზავსება დღეს ჩვენი საზოგადოებაც. ესეც მხოლოდ თავის არსებობის დაცვაშია ამ ხანად გაბმული და გაცხარებით ებღაუჭება ყველა იმ საშუალებას, რომელიც ავად, თუ კარგად ეხმარება ამ სურვილის განხორციელებაში.

—

ორი გზა შემოდის ჩვენს სოფელში და ამ ორსავე გზაზედ, სოფლის განაპირას მაღალ ტარიანი ბაირაღები არჭვია. ამათ გვერდზედ გამართულია ქოხები, რომლებშიაც გამუდმებით დღე და ღამ ჰზის ოროლი ყარაული და თვალყურს ადევნებს ამ გზებზედ ხალხის მოძრაობას. ისინი ვალდებულნი არიან, არც არავინ სოფელში შემოუშვან და არც სოფლიდამ გაუშვან გარეთ. უკეთუ ყარაულმა რაიმე მიზეზის გამო არ შეასრულა ეს მოვალეობა, მაშინ მას ახდევინებენ სამს მანათს ჯარიმას *) და ერთი დღე ბოსელშიაც უნდა იყოს დამწყვდეული. ყარაულების ზედამხედველად ამორჩეულია სამი უფრო შეგნებული გლეხ-კაცი, რომელთაც სოფლისაგან დროებით ჩაბარებული აქვთ სამართლის წარმოება. თავმჯდომარედ ამ სამის კაცისა ირიცხება უფროსი სანიტარი, ჩვენი პატარა დიქტატორი, ჩვენი სარდალი და წინამძღვარი, მოუღალავი აზ. ფარნ. ჟურული. ერთი ამისი დაძახება და მთელის სოფლის ფეხზედ დადგომა ერთია ხოლმე. ყოველ გაჭირვების დროს ყველაზედ წინ ის სდგას, წინ მიდის... და უნდა დაინახოთ, როგორის თავ-პირის მტვრევითა და ერთობით მისდევს ხოლმე მთელი საზოგადოება!... ამისთანა დროს დედაკაცებიც-კი აღარა რჩებიან ხოლმე სახლში. წინად, როდესაც ჩვენის ერის გაჭირვებულ წარსულს დავფიქრებივარ, გაოცებით მიკითხავს ჩემის თავისთვის: ამოდენა აუარებელ მწუხარებას და განუზომელ გაჭირვებას როგორ იტანდა ეს პატარა, საცოდავი ქვეყანა მეთქი?.. აწინდელი ჩვენი მოქმედება, ეჭვი არ უნდა, აჩრდილიც არ იქმნებოდა წარსულის ამბებისა! მაგრამ დღევანდელს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას რომ ვუცქერი, საგანი ზემოდ აღნიშნულ საკითხავისა ცოტად, თუ ბევრად ცხადი ხდება ჩემთვის. თურმე ნუ იტყვით, ბევრი რამ შესძლებია ერთის მხრივ გაჭირვებასა და მეორე მხრივ—გონიერს წინამძღვარსა. როგორცა სჩანს, დღევანდლამდე დიდი ძალა და ღონეა ჩვენი ხალხის სულსა და გულში ჩამარხული.. ახ, ნეტავი იმ ბედნიერს, რომელიც გარედ გამოიწვევს ამ დაფარულს ძალასა და ღონეს და წინ გაუძღვება სამოქმედოდ!..

არბოელი

1895 წ.
მარიამობ. 29-ს.

რუსეთი

პეტერბურგში 30—31 აგვისტოს ავად გახდა 64, გარდ. 27, მორჩა 78; ქ. კრონშტადში 29 აგვისტოს ავად გახდა 3; მთელს გუბერნიაში 30 აგვისტოს ავად გახდა 34, მორჩა 12, გარდ. 9.

მოსკოვში 29 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 10, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდ. 1, მორჩა 2.

კიევში 29 აგვისტოს ავად გახდა 69, გარდ. 28, მორჩა 26; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 30, გარდ. 11, მორჩა 13.

ნიჟნი-ნოვგოროდში 30 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ. 8, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 21, გარდ. 12, მორჩა 16.

სამარაში 29 აგვისტოს ავად გახდა 5, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 566, გარდ. 273, მორჩა 398.

სიმბირსკში 29 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 63, გარდ. 31.

ვორონეჟში 29 აგვისტოდგან ავად გახდა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 97, გარდ. 38, მორჩა 34.

ყაზანში 29 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 6, მორჩა 7.

ყუბანის ოლქში 29 აგვისტოს ავად გახდა 185, გარდ. 92.

თერგის ოლქში 29 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ 2.

— ხერსონში 30 აგვისტოს მოხდა საგანგებო კრება და გადასდეს ხოლერასთან საბრძოლველად 100,000 მანათი.

— მიტავაში 30 აგვისტოს ლატიშელებმა იდღესასწაულეს 75 წლის ბატონ-ყმობის განთავისუფლება. 50 მგალობელმა შეასრულა საერო საგალობელი.

— „Вѣстникъ финансовъ, промышленности и торговли“-ს სიტყვით, ამ წლის ხუთს თთვეში გაგზავნილა რუსეთიდგან საზღვარ-გარეთ 128.134,000 მ., შარშან-კი ამავე განმავლობაში 268.923,000 მანათის საქონელი 1890 წ.-კი 251.786,000 მ., ასე რომ ორივე წელზედ ამ წელს უფრო ნაკლები საქონელი გაუტანიათ საზღვარ-გარეთ. პურისა, შვრიისა და სიმინდის გატანა აღკრძალული იყო. საზღვარ-გარეთიდგან შემოსულა საქონელი იმავე ხნის განმავლობაში 136.999,000 მანათისა, იმავე დროს განმავლობაში 1891 წელს—145.611,000 მ. 1890 წელს 11.647,000 მანათით ნაკლები შარშანდელზედ. რადგანაც საქონლის გატანა საზღვარ-გარეთ ძლიერ შემცირებული იქმნა, ამიტომ შემოტანილი საქონელი მეტიარის 8.865,000 მან. ვერცხლი და ოქრო შემოტანილია 31.545,000 მანათისა, შარშან-კი შემოტანილა 46.832,000 მანათისა. გატანილია იმავე დროს 102,000 მ., ხოლო შარშან 68,000. მანათისა.

— მომავალ 1893 წ. მოელიან ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალს ფულს სულ ცხრა მილიონ მანათს.

უცხოეთი

შეერთებული შტატები. პრეზიდენტმა გარრისონმა გამოაცხადა, თანახმა ვარ პრეზიდენტის კანდიდატობა მივიღოო. ამასთანავე გარრისონი აღიარებს თავის პოლიტიკურს მიმართულებას. იგი ამტკიცებს, რომ შეერთებულ შტატების მრეწველობისათვის ძლიერ სასარგებლოაო მაკ-კინლის ბილლი, რომლის ძალითაც უცხოეთიდგან მოტანილს საქონელს ბაჟი აქვს დადებული. შემდეგ გარრისონი აცხადებს სურვილს, რომ ვერცხლის ფულის მოჭრა შევიწროებული არ იყოს და ვერცხლის დოლარი იმდენადვე ფასობდეს, რამდენადაც ოქროსიო. დასასრულ გარრისონი ამბობს, რომ შეერთებულ შტატების აწინდელი მთავრობა გარეგან პოლიტიკაში არ ერეოდა და ამითი ყველა სახელმწიფოს პატივისცემა მოიპოვაო.

საფრანგეთი. კლემანსომ მიჰმართა ბარონ მორენჰეიმს და წერილით

---

*) ამ ფულს ჩვენი სოფელი წამლების სასყიდლად ჰხმარობს. ამ გვარად არ იქცევიან ზოგიერთა სხვა სოფლები. მაგ. ს. ქორდში ჯარიმას ახდევინებენ საკლავითა, პურითა და ღვინით. მერე ვისა ხმარდება ყველა ეს?—ბატონ ადგილობრივ სანიტრებს და სოფლის მოხელეებს. ეჭვი არ უნდა, ჩვენი პატივცემული ბოქაული ბ-ნი გუგუშვილი ამ ამბავს მალე მიაქცევს ჯეროვანს ყურადღებას.

აცნობა, მე ძლიერ ვემდური მორესს, რომელმაც ხმა გაავრცელა, ვითომ მე წინააღმდეგი ვარ საფრანგეთისა და რუსეთის კავშირისაო. კლემანსო ამბობს: პალატის დერეფანში მე მხოლოდ ის წარმოვთქვი, რომ წინააღმდეგი ვარ-მეთქი რუსეთთან კავშირის თანაგრძნობის გადაჭარბებისა და სრულიად არ მითქვამს, ვითომ ამ კავშირის წინააღმდეგი ვიყვეო.

ბარონ მორენჰეიმს უთქვამს „National“-ის რედაქტორისათვის: თუმცა კლემანსოს წერილი ჯერ არ მიმიღიაო, მაგრამ დიდად მოხარული ვარ, რომ კლემანსო რუსეთთან კავშირის მომხრე ყოფილაო.

30 აგვისტოს პარიჟსა და მიდამოებში ხოლერით ავად გახდაა 52, გარდაიცვალა 30. გავრში ავად გახდა 8, გარდ. 6.

„Gazette de France“ ძლიერა ჰკიცხავს ბარტელემი-სენტ-ილერს, რომელსაც გაზეთ „Presse“ გამომცემელთან ეგვიპტეს საქმის შესახებ შემდეგი უთქვამს: „არა მგონია, რომ ინგლისს შეეძლოს ეგვიპტიდგან ჯარების დაბრუნება. ვიმეორებ, ჯარების ამ ჟამად დაბრუნება ეგვიპტეს ცივილიზაციის განადგურება იქნება. თუმცა ეს ძლიერ სამწუხაროა ჩვენთვის, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მთელის ათის წლის განმავლობაში საფრანგეთის გარეგან საქმეთა ყველა მინისტრი ძლიერ ცუდად იქცეოდა. ფრეისინემ პასუხი უნდა აგოს ღვთისა და ისტორიის წინაშე იმ სამწუხარო გარემოების გამო, რომელშიაც ჩაგვაგდო მან ეგვიპტეშიო“.

ბარტელემი-ილერს უთქვამს აგრეთვე: არა მგონია, რომ გლადსტონმა ხონთქარის ძალ-დატანებით ეგვიპტედგან ჯარები დააბრუნოსო.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის სასარგებლოდ ამა მარიამობისთვის ცხრაში გაიმართა ლატარია-ალეგრი. დამზადებული იყო 3000 ბილეთი, 600 მანეთისა. სალატარიოდ 300 ნივთი იყო. ამ სამასს ნაჭერში სკოლის ნივთები იყო 192, ნაყიდი 53 ნივთი, დანარჩენები შემოწირული—55. ბილეთები გაიყიდა—352 მან. 10 კ. (ა. ს. ყორღანოვისამ გაჰყიდა 92 მ. 90 კ. ბილეთი, ს. ნ. შჩედლოვსკაიამ—94 მ. 60 კ. და ნ. ი. ტამაშევიჩისამ—164 მ. 6 კ.). ჩაისა დარჩა 6 მ. 80 კ. სულ შემოსავალი იყო 358 მ. 90 კ.

ხარჯი რო გამოვიდეთ, წმინდა შემოსავალი იქნება 283 მან. 3 კაპ. ეს ფული სრულიად გადაეცა საზოგადოების ხაზინადარს, დაწვრილებითი ანგარიში მსურველს შეუძლიან შეიტყოს მისგანვე.

გამგე კომიტეტი ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისა დიდს და გულითადს მადლობას უცხადებს იმათ, რომლებმაც ცხრა მარიამობისთვეს გამართულ ლატარიისათვის არ დაიშურეს შემოწირულებანი. დიდს მადლობას უძღვნის აგრეთვე ქ-ნთ მ. გ. გამრეკელისას, ნ. ი. ტამაშევიჩისას, ს. ნ. შჩედლოვსკაიას, ა. ს. ყორღანოვისას, ა. პ. სვიატოსლავსკაიას, ბ-ნს ი. სავანელს და ყველა იმას, ვინც-კი დახმარება აღმოუჩინა ლატარიის გამართვაში, ბილეთების გაყიდვასა და ნივთების მოგროვებაში. განმეორებით მადლობას უძღვნის კომიტეტი მ. გ. გამრეკელისას, რომელმაც ამ საქმეს დიდი შრომა დასდო.

კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ ესენი და სხვებიც საზოგადოების დედათა სკოლას არ მოაკლებენ თავიანთს თანაგრძნობასა და დახმარებას...

გ. ბ.

◆◆

დეპეშა

5 ენკენისთვე.

პეტერბურგი. 1 სექტემბერს ივანგოროდის ციხეში აღლუმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა სთქვა: „გმადლობთ, ბატონებო, ყველაფრისთვის; მე დიდად კმაყოფილი ვარ; აღლუმი ჩინებული იყო; დიდად მიხარიან და ბედნიერიცა ვარ, რომ ჩვენი ლაშქარი ჩინებულად არის გაწვრთნილი“.

ტამბოვი. სარატოვის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე სოფ. აბაკუკუმოვკის 32 გლეხისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ უწესოების მოხდენა ხოლერიან ავადმყოფთათვის ფარდულის გამართვის გამო. პალატამ მიუსაჯა: ერთს დედაკაცს და ორს მამაკაცს კატორგა, სხვებს—დაპატიმრება სხვა-და-სხვა ვადით; 5 კაცი გაამართლეს.

ნიკოლაევი. დღეს დიდის მთავარის ალექსი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით დიდის ამბით შეუდგნენ ჯავშნიანის ხომალდის კეთებას, რომელსაც სახელად ეწოდება „სამი წმიდანი“.

სიმლა. გენერალმა შერ-მაჰმედმა, რომელმაც ხაზარასების ერთი ციხე აიღო, ეხლა უკან დაიწია, რადგანაც სანოვაგე შემოაკლდა. აჯანყებული ხაზარასები არა ჰმორჩილდებიან. ემირმა გამოაცხადა, მზადა ვარ ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელნი მივიღო ჯელალ-აბადს ოქტომბერშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,87	7,90	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	157	158	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	— ,,
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	236½
—მეორისა	— ,,	— ,,	218
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	191	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀.	102¼	— ,,	— ,,
5°/₀.	99,87	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6°/₀.	102¼	— ,,	— ,,
5°/₀.	99,87	— ,,	— ,,
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98½	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 3 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

ელენე ფარსადანის ასული ნაცვლიშვილისა და თ. დავით ფარსადანის ძე ტუსიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა, პირველი მეუღლისას და მეორე—სიძისა თვისისას, **დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის სოლომონ თადეოზის ძის ნაცვლიშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ, რომელიც იქნება 8 და 9 სექტემბერს საღამოს 7 საათზედ და მიცვალებულის განსვენებაზედ 10 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, საკუთარის სადგომიდგან (ავჭალის ქუჩა, № 12).

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—104)

ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი
საქართველოს
გეოგრაფია
1 წიგნი
სამცხე
ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„ივერია“
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . .	10 მ.—კ.		6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,		5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,		4 ,, ...	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,		3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,		2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,		1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე—და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Сентября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.